



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საქართველოს სოფლის მეურნეობა

2019 წელი და 2019 წლის IV კვარტალი  
(წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)



19.02.2020

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

**საქართველოს სოფლის მეურნეობა  
2019 წელი და 2019 წლის IV კვარტალი**  
(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 864.1 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 1.7 პროცენტით ნაკლებია. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 425.9 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7.0 პროცენტით ჩამორჩება.


ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა 14.8 პროცენტით შემცირდა და 740.8 ათას სული შეადგინა.

ღორის რაოდენობა 141.7 ათასი სული იყო, რაც 13.2 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობამ 9.1 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 11.9 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2014-2019 წლების ბოლოს არსებული მდგომარეობით.

**მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2014-2019 წლების ბოლოსათვის**  
(ათასი სული)




\*წინასწარი მონაცემები.

■ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი  
■ მათ შორის ფური და ფურკამეჩი

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


19.02.2020

**ცხვრისა და თხის სულადობა 2014-2019 წლების ბოლოსათვის**  
(ათასი სული)



\*წინასწარი მონაცემები.

**ღორის სულადობა 2014-2019 წლების ბოლოსათვის**  
(ათასი სული)




\*წინასწარი მონაცემები.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2020

### ფრინველის რაოდენობა 2014-2019 წლების ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



\*წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 91.7 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.7 პროცენტით ნაკლებია. 2019 წლის რძის წარმოების წლიური მაჩვენებელი 546.9 მლნ. ლიტრით განისაზღვრა, რაც 1.5 პროცენტით ჩამორჩება 2018 წლის შედეგს.

2019 წლის IV კვარტალში ხორცის წარმოებამ 20.9 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2018 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 9.5 პროცენტით ნაკლებია. 2019 წელს ხორცის წლიურმა წარმოებამ 67.6 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6.9 პროცენტით ნაკლებია.


2019 წლის IV კვარტალში კვერცხის წარმოება 148.7 მილიონი ცალი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3.8 პროცენტით ნაკლებია. 2019 წელს კვერცხის წლიურმა წარმოებამ 605.5 მილიონი ცალი და 2018 წელთან შედარებით 4.6 პროცენტით ნაკლები შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2014-2019 წლებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2020


რძის წარმოება 2014-2019 წლებში  
(მლნ. ლიტრი)



\*წინასწარი მონაცემები.

■ IV კვარტალი  
■ წელი

ხორცის წარმოება 2014-2019 წლებში  
(ათასი ტონა)




\*წინასწარი მონაცემები.

■ IV კვარტალი  
■ წელი

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2020

### კვრცხის წარმოება 2014-2019 წლებში (მლნ. ცალი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2018-2019 წლების მაჩვენებლები ქვეყანაში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტ-იმპორტის, ასევე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ქრილში.

### პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2018-2019 წლებში კვირის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2018				2019*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	981.9	979.0	921.4	878.9	955.4	965.3	902.1	864.1
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	481.3	480.8	470.1	458.0	454.8	453.1	436.6	425.9
ღორი	182.8	224.7	247.1	163.2	174.8	194.7	225.4	141.7
ცხვარი და თხა	1 189.9	1 058.7	878.1	869.5	1 141.8	1 028.4	813.6	740.8
ფრინველი (ათასი ფრთა)	8 731.1	10 911.2	9 497.9	8 110.9	7 977.2	10 414.2	9 148.4	9 079.8

\*წინასწარი მონაცემები.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2020

### ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2018-2019 წლებში (ათასი სული)

	2018					2019*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	18.5	37.1	34.7	36.5	126.9	15.4	21.1	33.4	25.7	95.6
ღორი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცხვარი და თხა	2.4	17.6	46.3	0.5	66.9	1.2	4.4	84.4	65.2	155.2
ფრინველი (ათასი ფრთა)	619.6	601.3	670.7	414.9	2 306.5	726.8	1 528.6	1 740.3	1 456.7	5 452.3

\*წინასწარი მონაცემები.

### ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2018-2019 წლებში (ათასი სული)

	2018					2019*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.6	0.5	0.3	0.4	1.9	0.7	0.8	0.5	0.8	2.7
ღორი	5.5	7.8	11.5	8.5	33.2	7.3	5.1	10.2	8.6	31.2
ცხვარი და თხა	31.6	21.5	0.9	72.1	126.1	23.7	6.5	1.1	6.0	37.2
ფრინველი (ათასი ფრთა)	529.1	529.6	424.3	422.1	1 905.2	705.7	492.4	990.0	856.6	3 044.7

\*წინასწარი მონაცემები.

### მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2018-2019 წლებში

	2018					2019*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
ხორცი (ათასი ტონა)	19.3	15.2	15.0	23.1	72.6	16.3	15.9	14.5	20.9	67.6
რძე (მლნ. ლიტრი)	103.0	189.6	168.4	94.2	555.3	101.9	193.0	160.3	91.7	546.9
კვერცხი (მლნ. ცალი)	166.5	159.7	154.1	154.5	634.8	159.5	151.1	146.2	148.7	605.5

\*წინასწარი მონაცემები.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

---

19.02.2020

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

**შენიშვნა:** ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

**გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:**

- მოვლენა არ არსებობს.

2019 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2020 წლის 15 ივნისს.

**საკონტაქტო პირები:**

გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: [gsanadze@geostat.ge](mailto:gsanadze@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)